საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

ბრძანება

MES 3 23 0001739058

20/12/2023

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული გადამზადების პროგრამის „ბავშვის განვითარების თავისებურებები“ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის 2023 წლის 19 დეკემბრის №1732863 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების'' მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის'' მე-2 მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის (ს/კ:405337880) პროფესიული გადამზადების პროგრამა „ბავშვის განვითარების თავისებურებები“ **(დაწართი)**.
2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის
დირექტორის მოადგილე
კახაბერ ერაძე

დანართი

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01839	ბავშვის განვითარების თავისებურებები	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	10	ქართული	40	ქვემო ქართლი, მარნეული, 26 მაისის ქ. №80